

სალიბარატურო და სამეცნიერო ნახატმზანი ზაზთი. გომოდს ყოველ კვირა დღს.

№ 21

მ ა ი ს ი 12 1896 წ.

№ 21

**შინაარსი:** განთადი ავაისა.—სნა-და-სნა ამაგი.—საურადღებო ამაგი.—\* ლექსი რუს-იმერლისა.—ჭაღების ინტერნაციონალური კონგრესი პარიჟში ი. კავაბაძისა.—რკინის გზის საქმის წარმოება.—ნა პროვინციიდან ხალხის მგებლობა.—ცხოვრების სურათები ლექსი სლოვანისა.—ნუში (შემდეგი) გ. პარნოვისა.—ბ. ურბნელის შენიშვნების გამო გ. ღსა.—ტარაფი.

„აკვალის“ ხელის მომწერლებს მოგაგონებთ, ვისაც ფუდი არ შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ.

### გ ა ნ თ ი ა დ ი

**ს**ხირბულთ დრო იყო „მესამოცე—წლები“ რუსეთში.. მწერლობა ორ ბნაქათ გაიყო; ერთი ამტკიცებდა, რომ ხელოვნება მხოლოდ ხელოვნებისათვის უნდა იყოს და არა ცხოვრებისათვისა. მეორე კი იმ ზრზე იღვა, რომ ხელოვნება ცხოვრებისათვისა. აიშალენ. ბრძოლა ისე გამწვავდა რომ ორივე მხარე უკიდრისობაში ჩაეარდა და გზა და კვალი აერიათ: წმინდა ხელოვნების მიმდევრებმა ჰერში მოინდომეს ფრენა და ძირს, დედა-მინაზე, ფეხს აღარ აკარებდენ, ყოველ-ადილურ აეკარებდნენ ზურგი შეაკეთეს და მხოლოდ „აქტილ-მხოვანობა“ და „ესამო ფერადობა“ მოიქარგეს დრო-შაზე.. მშინეს რომ მათთვის ხელი გავწვოდა და მოუწოდებდა ეთხოვა, ისინი პურის ნაკვლად ქიანურსა და ოქრო-ქსოვილებს მიაშველებდენ, სრულიად დარწმუნებული, რომ მხოლოდ ის თუა მათი წამალი და სხვა არა ეჭირებოდათ რა..

მოხლუდა ცხოვრება (თითქოს ადამიანი პირუტყვზე მაღლა აღარ მდგარიყოს) რომ ყოველივე; რა კი ხულით აამაღლებს ადამიანს და დაუხლოვებს ციურს, უარყო!.. თამაშათ და გულ-წრფელათ ამტკიცებდა, რომ მოცარტისა და ბეტხოვენის მუხიკაზე გოქის ჭყივილი უფრო სასიამოვნოა გასაგონია, რომ ორთაგუნის სიმღერას ძალის ყვეა ჯობია და მკვერ-მეტყველებზე ბლოკინ-სიტყუაობა უფრო სასიამოვნოაო, რა-გორც ცხოვრებაში უფრო გამოსადგვიო. ის ენც ორივე მხარეს განზე გაუდებოდა და მათ უკიდურისობას უარსა-ყოფდა; არც იქით იქნებოდა არც აქეთ და მუთათანობას აიჩნედა; უმჯეულია ორივე გუნდისაგან შეურაცყოფილი შეიქნებოდა ისე, რა-გორც გამოჩენილი მწერალი ტურგენივი და ან პოეტი ალექსი ტოლსტოი.—ამ უცნაურება და უკულ-მართმა მოვლინებამ იმ დროში შეაფერხა რუსეთში ყოველ-გვაზი ხელოვნება. ეს საშიში სენი ზენც გადმოგვედვა მაშინ ქართველებს და უფრო მეტი ენებაც მოგვეტანა ვიდრე რუსეთს.—ეს ნიცილობათ წოდებული სენი რუსეთში კანონიერი მოტლინება

მეორე მხარემაც ისეთი ეიწრო ფარგლით შე-

იყო, როგორც მაშინდელ დროთა ვითარების ძალით, რუსეთისგან ცხოვრებისადმი გამოწვეული, მაგრამ ჩვენში კი წამედღრობით იყო გამორჩენილი და ნამალაღვი და ამიტომაც უფრო მეტი ენება მოგვითანა. ზოგიერთ სახადს, მაგალითათ, ყველის, განგებ აუტკიან ხოლმე კაცს, რომ ნამდვილს ძალი დააკარგვიონ. ის ზემოხსენებული სენი ანუ სახადი სწორეთ ატრა იყო ძროხის ყველივით რუსეთში, მაგრამ ჩვენში კი ნამდვილ კირბორიკათ შემოვიდა, დაეკასახინა და დაგაწყულდა.

რუსეთში ისე მალე გადაკვეთა, რომ ათ წელსაც არ გაუვლია, მაგრამ ჩვენ კი ჯერ თითქმის ნახევარი საუკუნე გადის და ვერ მოგვისდია. ყოველგვარი ხელოვნება დღემდისაც შეფერხებულია ჩვენში და ხალხმაც სწორ-მხედველობის სასწრაფო-სახომი დაჰკარგა. ჩანგურ-სალამურის ადგილი — „ბუზიკამ“ დაიქორა, მშობლიური ხმები, საიდანაც ჩვენი წარსულის კენესა-სიცილი გამოისმობა, საუკუნოებით იყო გადმოცემული, — როტიდან გამოსულმა სიმღერებმა გააძევა, სამინუშოთ ავიღოთ ის მრავალ ქაშიერი, რომელსაც დღეს დიდი და პატარა ყველა იმღერის, თითქმის ძალღებვიც კი მის კილოზე ზუვიან და ისე შეგებორცა მთელ ქვეყანას, რომ თითქო მისი საკუთარი ცხოვრების ნაყოფი ყოფილიყო.

მხატვრობაზე სულ არაფერი ვეცდებით და რაც შეგებია მწერლობას, ის ზომი სათვალ და თვალთა გადუკუღმართებული და დამახინჯებულია. დამალჯირკებივით და ხმელ ფიჩხივით აქა-იქ მოკრეფილი სხვისი ნაწყვეტი აზრები და ზღლის ძაფით შეკონილი, საკუთარი სობრანე-მეცნიერება გვეგონია. სიტყვის უსიამოვნო ბრახა-ბრუხი — მუსიკა — გარმონია, და გაბერილი აზრების ფართი-ფურთი — პაეზია. შეცდომით ვეძახით მესამოცე წლებს ჩვენში წარმატების და აყვავების ხანას ხელოვნების მხრით; ეს თითქმის ნახევარი საუკუნე შევ ლაქათ დარჩებამ ჩვენს სალიტერატურო ისტორიაში. შეიძლება მოთხრან, თუ ყველა არა, ორიოდ შესანიშნავი მნათობი მზე ჩვენცა გეყავდომ, მაგრამ ეს თავის მოტყუებამ: მე გგონია, რომ ფუტურთი მოვიღეთ ნამდვილ მნათობათ, თორემ სადაც ძლიერი მზე არის, იქ სხვა მნათობებიც იჩენენ თავს და მთვარეც ანათებს მზისეე წყალობით სხივედ შესხმული. თუ მართლა ისე ძლიერი წარმომადგენელი გეყავდენ მაშინ ლიტერატურისა, რატომ მათივე მოფენილი სხივების წყალობით გარს ვერ შემოხივის მთელი დასი? აღმათ ჰკლებიათ ძალა და მხურვალეობა არა! ეიტყვით გულ-წრფელათ, ნამდვილი განთავი ხელოვნებისა მხოლოთ ამ უკანასკნელ ხანებში დგება. ამას გეიმტიკებენ ახალგაზრდა მწერლები თავის პატარ-პატარა ფსიხოლოგიური

ეტიუდებით, რომელთა რიცხვი პირველად ადგილს უჭირავს შიო დედაბრიშელს. ეიცო, ბევრი იტყვის მაგრე პატარა რამეებზე ღირს ლაპარაკიო, მაგრამ ხელოვნებამ, ზომისა და წონის მხრით, დიდი და პატარა არ იცის. გამოჩენილმა ისპანიის მხატვარმა მუჩრილიომ პატარა ტილი დხატა, ეს არის მისი ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი. როდესაც გამოფინეს ეს ნახტი მსოფლიო სამინუშოთ და ქვეყანა აღტყდაში მოდიოდა, ერთმა უნიკო მხატვარმა სპილოცხატა და ჩამოუკიდა გვერდით და რომ არავინ მიჰქცია უჭრადლება, ჰკვირობდა: ჩემი ნახტი უფრო დიდი არ არისო! ჯერ-ჯერობით ბოღში უნდა მოყოხადო და ეთქვა, უმეტესობას ჩვენშიაც ასე ეძებს ხელოვნება.

ეს დღევანდელი პატარ-პატარა ფსიხოლოგიური ნაწყვეტები მამლის ყივილივით განთავის წინამორბედი არაა ჩვენ ცხოვრებამ — ლიტერატურაში.

ერთი ამგვარი რომ ამ დღებშიაც დაიბედა საყმაწვილო ჟურნალ „გეგვილიში“. ეოლტრმა თქვა ყმაწვილებისთვის ის არის კარგი და სასარგებლო, რაც არც დიდებს აწყენსო. ეს პატარა ბოტანიკური მითხრობა „ფითრი“ თ. რახივაშვილისა, როგორც ხელოვნების მხრეც ისე თავის კილოთიც გამტაცო ახალგაზრდა გრძობა გრძობის და იმავე დროს დიდათ საგულწონი ერო დიდებისთვისაც. აქ არ გვიანდამოვეწროთ მანას არსი, რომ არ დავამახინჯოთ, ეურჩევთ ყველას, თავის თავით წაიკითხონ. აქ არის გამოხატული ჩვენი ქვეყანა და ძველთაგანე მის გულში შემოხიხნული ერთი მარის ისტორია ჩვენის ცხოვრების და იმავე დროს ებრაული წინასწარმეტყველობა მომავალზე. და ვინ გულდაღებით წაიკითხავს, ჩვენთან ერთათ იტყვებამდლობა ღმერთს, ქსალი ხანა დგება ჩვენ მწერლობაში და მისი განთავი იც მოახლოვებულია.

აკავი.

სხვა-და-სხვა ამბები.

**3** აგკასის მთავარმართველის თანაშემწემ, მთავარმა ტარტოშემა დაამტკიცა შემდეგი პირობები: იმ დღესასწაულობათა, რომლებიც წმ. დავით გვირგვინების დროს იქნება გამართული თფილისში წინა დღით, 13 მაისს, საღამოთი ქლაქის ეკლესიებში დაუჯდომელი იქნება გარდასტოვების სიონში ეპისკოპოსი აღქსანდრე გარდინხის დღეს დომელს. 14 მაისს ყველა ეკლესიებში ლიტურგია იქნება შესრულებული და როგორც-კი დეკემბრის



ღებს გუბერნატორი შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, რომ დაგერეგინება უკვე შესრულებულ იქნაო, სამჯერ დაკლიან ზარბაზნის და ქალაქის მცხოვრებნი სახლებს ბაირალებით შეამკობენ. ამის შემდეგ სიონის ტაძარში პარაკლისი იქნება გარდახდილი.

სალამოთი ამ დღეს მთაწმინდა, სოლოლაკისა და არსენლის მთები გაჩირაღდებული იქნება. ქალაქის გამკვება გაჩირაღდნებს გოლოგინის პრის-პეტს, ქალაქის სახლს, ალექსანდრეს ბაღს, რომელიც მთელ ღამეს ღია იქნება და აგრეთვე ხიდს-ქუჩას. ეგრისა, მიხეილისა და ავლაბრის ხიდებზე და აგრეთვე კანეთის მოედანზე მწვანით შეკრული კამარები იქნება დაღმული.

მეორე დღეს, 15 მაისს, იუნკრების მოედანზე დილის 10 სათზე, პარაკლისი იქნება გარდახდილი მათის იმპერატორებითი უდიდებულესობის სადღეგრძელოთ, როგორც მათის უდიდებულესობისა, ისე მთლათ სამეფო სახლელობისათვის. პარაკლისის შემდეგ აქვე ნაბავენ მთლათ ტფილისის ჯარების განიზონს.

12 საათზე შუადღისას, 3,000 კაცისთვის სადილი იქნება გამართული.

სალამოთი ქალაქი გაჩირაღდებული იქნება და ალექსანდრეს ბაღში მუსიკა დაუკრავს.

16 მაისს, დილის 10 სათზე, იუნკრების მოედანზე ქალაქის ყველა სასწავლებლებიდან მოაწყდებიან თვის მოიყრიან და აქ ებისკოპოსის ალექსანდრეს მიერ პარაკლისი იქნება გარდახდილი. პარაკლისის დროს ყველა მაღაზიები და დუქნები დაკეტული იქნება. ამ სამის დღის განმავლობაში ვიკლესიებში ზარების რეკა არ შეწყდება. (იგერია.)

\* \*

მოთვალისწინებულ ჩვენს მკითხველებს, რომ წლიური კრება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ არის დღეს დანიშნული 12 მაისს საღამოს რვა საათზე ბანკის სადგომში. ჩვენ უხერხულათ მიგვაჩინა კვირას საღამოს ჯერების დანიშნა, მაგრამ რადგან ბანკის კრებები უბოლოეა გახდა სხვა დრო, უსათუოთ, ძნელი ამოსარჩევი იყო.

\* \*

აღვრები გამუდმებულია ჩვენში; წყალმა გრაკლის ხიდა დაზიანა, სამხედრო გზაზე ზევი ჩამოწვა; გზები ყველგან ისევ შეიკრა და სადაც კი გაიხსნება კაცი მოეღოს ეს ეს არის ისევ შეიკრისო.

\* \*

სუთშვათს 9 მაის იყო აქტი ქალების დღათა ინსტიტუტში. 42 წელიწადია რაც ყოველ წლივ ათავებენ ქალები სწავლას. ამ მდგომარე წელს მოსწავლე ქალი არის 242. ამათში ქართველია: 67. მთლილი: 4. წრეულის გათავეს 33 ქალმა; პირველი ოქროს მედალი მიიღო თამარა ლოლობერიძისამ.

\* \*

ლატარია ალგერი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოთ, რომელიც იყო დანიშნული 5 მაისისათვის, გადაიღო ადვრების გამო 19 მაისისთვის.

\* \*

მოსკოვის კონსერვატორიაში, როგორც გეოუწყებს „Нов. Обоз.“ გაუთავებია სწავლა დ ევრცხლის მედალი მიუღია კნ. ბარბარე ამირეჯიბისას.

\* \*

ყარსში გამართათ 21 აპრილის ქართულ-რუსული წარმოდგენა, წყალ-დიდობის და სასტაკ ზამთრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. რუსულათ უთამაშნიათ ერთ მოქმედებანი ვოდველი „Спиружская Идиллия“. ქართულათ, ცვაგროს „ხანუშადა“ ორი უკანასკნელი მოქმედება. რუსული პიესა უფერული შინაარსიანი ყოფილა და მიუხედავათ იმისა რომ მოთამაშეთ კარგათ უთამაშნიათ, საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება ეერ მოუხდენია. სამიგიერთ შეწინებათ უთამაშნიათ „ხანუშა“ და ხალხიც ამატკვებაში მოსულა. წმინდა შემოსავალი დაახლოელებათ 230 მანეთამღა.

\* \*

ს. გუგუკაძის (ენეაკის მას.) გეწერენ: ავროც დღეზე მეტი იქნება, რომ რაღაც გაუგებარა სენმა იმხებრბლა 19 კაცი. აქ ექიმო არ მოიპოვება, რომ გამოეყვლია ეს სენი გადაამდებია თუ არა. თუ გადაამდები არის იმ შემთხვევაში რამე ზომებს მაინც მიიღებდენ! ამ სოფელში კაცის ყური შეჩევეა სიტყვებს: „მოკვდა საწყალი და ქმარიც კვდება“ მეტი არაფერი, საქირია, რომ ყურადღება მიაკეთონ ამ ბედკრულ სოფელს.



დ. უკარლადან გეტუობინებენ: ძლიეს ველირ-  
სეთ მენაუგებიდან და მებორნეებიდან თავის დახწევას.  
ამ დღებში ღეკანოზ დ. ლამზაშიძის თაოსნობით  
შეინიერი, საცალღებო ხიდი გაკეთდა მდ. ყვირილა-  
ზე. ამ ხიდს ვალმა-გამოღობით აურაცხელი ხალხი მო-  
აწყდა. ამ საქმეში სწორეთ დიდი მადლობის ღირ-  
სია ღეკ. ლამზაშიძე.

### საყურადღებო ამბები.

**წ**ოგ. წესს (რაკის მზ.) მეწყერმა თუმცა დი-  
დი ზარალი მისცა, მაგრამ, ღმერთზე მხოლოდ  
მადლობის მეტი არა გვეთქმისრა. ახლა კი უა-  
რესი აყალ-მაყალი და ვიჯივალახი იმაზე აქეთ გლე-  
ხებს, რომ ნამეწყერი ადგილები, რომელიც ერთი  
მეორეზე გადაცურებულა და ზედა ადგილს ქვედა  
ადგილი მოუკავებია, არა ჩემია და არა ჩემია არის  
დავა ბებელი გლეხებს შორის. კაცმა მართალი უნ-  
და თქვას, სწორეთ ძნელი გასაყოფია ახლა ეს ნა-  
მეწყერი ადგილები, და თუ მთავრობამ არ შეთანხ-  
მა ადგილების მეპატრონენი ერთი მეორესთან, უსა-  
თუთოთ ცული შედეგი მოყვება ამ გარემოებას. სოფ.  
წესში 9 აპრილს მოხდა ის დიდი უბედურება, რო-  
მელმაც სამოცამდე გლეხი უადგილო-მამულოთ და  
უსახლ - კარით დატოვა 10 აპრილს შეიკ-  
რიბა სამოცამდე გლეხი ერთათ, და აი რა აზ-  
რი წარმოთქვას წლევიანდელი უბედურების შე-  
სახებ: გასულ წელს წმიდა ილია-ლრუბელთ წი-  
ნამძღვრისთვის, თხა არ შეგვიწირავს, და წელს  
სწორეთ ამისთვის გაჯავრდა ილია და მეწყე-  
რი და უბედურება მოგვივლინაო. თითოეულმა გლეხ-  
მა ეს ცრუ მორწმუნება ქეშმარიტებათ მიიღო.  
შემდეგ მიილაპარაკეს ურთიერთ შორის და გადა-  
წყვიტეს: 11 აპრილს მაინც შევიწიროთ თხა ილია-  
ლრუბელთ წინამძღვარს, და მღვდელსაც ვაწირვიწი-  
რო. (აღდგომიდან გველილი სამი ხუთშაბათი ყვე-  
ლა ელიობათ მიაჩნიათ აჟ, და კიდევაც უქმობენ).  
11 აპრილს, ეთარკა დიდ ღღესასწაულს, შეიკრი-  
ბა ეკლესიის ვალაჟანში მრავალი ხალხი, და წირ-  
ვის დადგომამდე მოიყვანეს ვეხების ბაკუნით ერთი  
დიდი გრძელ-წვერა თხა. მსხვერპლი წირვის გამო-  
სვლამდე ვარეთ ება, როდესაც წირვა გამოვიდა,  
ხალხი შემოეხებია მღვდელს და დაუწყეს თხოვნა:  
თხას თავი მოგვიბრუჯე და აკურთხობ; მღვდელმა,  
თუმცა უარი უთხრა მათ და გაიქცა ეს ცრუ-მო-

რწმუნება, მაგრამ ხალხი მაინც არ მოეშვა, სანამ-  
დი საწყალ პირუტყვის წვერებში სანთელი არ შეწი-  
ნო და არ გატრუსა. გარუჯული თხა წაიყვანეს  
კლდიან ადგილზე და ერთ ათასი წლის ურთხელის  
ძირში დააბეს. ყველამ, დიღმა და პატარამ, მოინადა  
ქუდი და დიდი მოწიწებით ევედრებოდა ილია-  
ლრუბელთ წინამძღვარს, შემდეგისათვის მაინც არა-  
ფერი ზარალი მიეცა მათთვის. შემდეგ ლოცვისა  
დაქვლეს მსხვერპლი, გაატყვეს და იმ დანიშნულ ხს  
ძირში მოხარშეს. ზოგმა ლეინო მოიტანა, ზოგ-  
მა პური, დაჯდენ და შეკამეს ილიას თხა.  
ხორცის სახლში წაღება ცოდათ მიაჩნიათ. თხის  
პატრონმა შემოდგომაზე თითოეული გლეხიდან  
ორ-ორი ჩარქვი ლეინო უნდა მოავროცოს. იმ და-  
ნიშნულ ურთხლის ახლო მრავალი ხეა გამოსკენი-  
ლი, ზოგი ხმელი და ზოგი ნელდა, რამდენი წლის  
ვინ იცის. გლეხს თუ ჰკითხვდეს ხის გამოსკვნა ხის  
მოსაწადებს-თქო, მიშინ ის გიპასუხებს: აქ რომ პა-  
ტარა ხეს გამოსკენით, ყოველ ელიობას ენახუ-  
ლობთ, თუ გამხმარი დაგვხდა ის ჩვენ მიერ ვა-  
მოსკენილი ხე, მისი გამომსკენელი მალე მოკვდება  
და თუ ხემ გაიხარა, მისი გამომსკენელიც დღე  
ხანს იცოცხლებსო.

განო ჭაჭინაძე.

\*\*\*

ქალბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ ვთხოვეთ  
ნება გვიბოძაოთ თქვენი ვაზეთის საშუალებით შევეცო-  
ბო ბნ-მარკოზ სანგლიძეს შემდეგ: სად არის ის შპ  
მან, რომელიც ჩვენ, ცხენის რკინის ვზის მოსამსახუ-  
რებმა, შევარაგეთ მეფე ერეკლეს სახელობაზე და-  
არსებული თანხის მისამატათ და გადაეცით თეთ  
სანგლიძეს, რომელსაც დაევალებთ ჩვეულებრი-  
ვით ვაზეთში გამოცხადება, რათა ამ შავალითის-  
თვის სხვებსაც წაებაძა. ახლა ავერ თითქმის წელი  
წადი გადის, მაგრამ სენგნული ფული დანიშნულ  
ბისამებრ „კვალის“ რედაქციისათვის არ ვაღუ-  
კით.

ვაფლან ხუნდაძე.

\*\*\*

ქ. ჭაჭინაძე, ქალაქის საბჭოში გადაწყვიტეს, რომ  
ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინების ღღეს გაუ-  
მართონ სადილი სამხედრო ჯარს, ხოლო ფული უნ-  
და შეგროვდეს მტკავრებლობისაგან ხელის მოწირით.  
ამისთვის უკვე შეღდა კომიტეტი ექვსი კაციდან  
და დაეფუძეს მათ ფულის მოკრება; როგორც ხანს  
ჯერ-ჯერობით, მიეღია შეგროვდეს 3000 მანეთი.

დ. კარგი იქნება, რომ იმის მაგივრათ რომ ჯარს სალიო გაუმართონ, რადგან თვითონ ხაზინამ გადასდო ამისათვის ბლომით ფული, ეს ფული რაიმე ისეთ კეთილ საქმეს მოხმარდეს, როგორც მაგალითათ სხვა ქალაქებში: დაარსდეს სამკითხველო, საავთმყოფო და სხვა.

ან არა და ამ ჩვენ დაზარალებულ და დამშემულ ძველანს ხელმწიფე იმპერატორის სახელობით გაემართოს ხელი, მაშინ ეს დღე სახსოვრათ დარჩება ყველას.

**გუგუული ამსახვი.**

**ქართველი ვათათრებულის**

ვისგან რა მისაღებია,  
რომელს აღარ წამს დედ-მამა,  
ბაბუა, არცა ბებია!

**სამშობლოს ყვეგილ-ბუნქნარი**

ვის სხვაგან აყვავებია  
აქ ტბილათ მსტენნი ბულბული  
გაყორან — გაყვავებია.

თავი მით მოაქვს ნაბადი,  
რომ ვარდუქმნია ფარჯათ  
და თავის მოამეს ადგია  
გამცემ — გამყიდველ დარჯათ.

ამ გვაირ მამხალიანო  
რა კაცათ ჩასაგდებია?  
მენდე დაკინეის ღირსია,  
აბუჩათ ასაგდებია!!

რუს-იმერქელი.

თუმცა პარიეში ამ დროს გამოუყენა იყო, მაგრამ ამას კონგრესისათვის არაფერი შეუძენია. ეს კონგრესი უკანასკნელებთან შედარებით სუსტა და უფერვი იყო.

მეორე კონგრესი (1892 წ.) პირველს ჯობდა. ეს მესამე 8 აპრილს გამართული კონგრესი კი ცხადათ გვიმტკიცებს თავის ზრდას, პროგრამის და თანაგრძნობის საზოგადოებაში გავრცელებას; ეხედვით ქალების საქვეყნო მოძრაობას და ეხედვით, რომ იმათ საზოგადოების ყურადღება მიიქციეს, თანავაძნობას იმსახურებენ. მკითხველს, უძველია, უნებლიეთ დებადება კითხვა: რა არის ქალების ინტერნაციონალური კონგრესის მიზანი? აი, საკითხი საგანი, რომელსაც მკითხველი მოითხოვს. აქ საჭიროთ მიმართა მოვიყვანო „ფრანგ ქალების ლიგის“ წესდება და სამოქმედო პროგრამა, — ამისთანავე, ზოგი ის საკამათო კითხვები, რომელიც კრებამ აღძრა. აქედან მკითხველი დინახავს „ლიგის“ მიზანს, მოქმედებას. იგივე მიზანი იხატება მთლათ „ქალების ინტერნაციონალურ კონგრესის“ მოქმედებაში.

„ქალების უფლებებისათვის ფრანგთა კავშირი (la ligue).“

**ლიგის წესდება.**

1. ქალების უფლებებისათვის ფრანგთა კავშირს, რომლის საზოგადო სხდომა პარიეშია, მიზნათ აქვს ქალის უფლებების მოპოვება და მისი ინტერესების დაცვა.

2. ვინც უნდა იყოს, სქესის და ეროვნების განურჩევლათ, ლიგის წევრათ იქნება მიღებული, რომელსაც ორი ლიგის წევრი წარმოადგენს. ახალმა წევრმა ლიგის წესდება უნდა მიიღოს და წელიწადში 6 ფრანკი იხადოს.

ლიგა საპატოო წევრებათ დანიშნავს იმ პირებს, რომლებიც ქალების ემანსიპაციის საქმეს საშინაურს გაუწევენ და ყურადღებას მიიპყრობენ. საპატოო წევრათ მიღება შეუძლია საზოგადო კრებას. საპატოო წევრები არაფერს იხდიან და სარგებლობენ ლიგის წევრის თანასწორ უფლებებით.

3. ლიგის წევრთა საზოგადო კრება წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოხდეს, პირველ 3 თვის განმავლობაში, მზრუნველი კომიტეტისაგან მოწვევით.

4. საზოგადო კრება გადაწყვეტს ლიგისათვის საჭირო კითხვებს; თავის წევრებიდან ირჩევს აღმინისტრაციას, მიიღებს ან შეცვლის წესდებას, თუ ეს საჭირო აღმოჩნდება. საზოგადო კრების გადაწყვეტილება ძალაში შედის, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

საქმეების მმართველი აღმინისტრაცია 5 წევრი-

**ქალების ინტერნაციონალური კონგრესი პარიეში.**

ეს ქალების მესამე ინტერნაციონალური კონგრესია, რომელსაც ცხადათ ეტუობა, რომ საზოგადოებაში სიმპატია მოუპოვებია, თუმცა ვერც ის სიმპატია გამოურკველია. პირველი კონგრესი ქალებისა 1889 წ. მოხდა.

საგან შედგება: ერთი თავმჯდომარე (კაცი ან ქალი) ორი თავმჯდომარის თანაშემწე (კაცი გინა ქალი) ერთი საზოგადო მდივანი (ქალი) და ხაზინადარი (ქალი). აღმინისტრაციის ნახევარი წევრები ყოველ წლობით იცვლება; წინათ აღმინისტრაციის წევრათ ნამყოფი შესაძლოა ხელმძღვრეთ ამორჩეულ იქნეს.

5. ლიგა თვეში ორჯერ იკრიბება ჩვეულებრივით.

6. აღმინისტრაციას სისრულეში მოჰყავს საზოგადო კრების დადგენილი კითხვები; მართავს ლიგის საქმეებს, ანგარიშს წარუდგენს საზოგადო კრებას; ამტკიცებს საზოგადო კრების წინ ანგარიშების წესიერ მდგომარეობას.

7. აღმინისტრაცია აღმასრულებელია ლიგის წესდების.

ლიგის პროგრამა. სამოქალაქო უფლებები: საზოგადო დაწესებულებებში ქალების იმავე წესით მიღება, როგორც მამაკაცებისა.

იმ კანონების და დეკრეტების გაუქმება, რომლებიც ხელს-უწყობს პროსტიტუციის გავრცელებას.

ქალის, როგორც კაცის, თანასწორი აღზრდა. სამეცნიერო ხარისხის ანუ ჩინების მიცემა, რომელთაც ქალი კაცთან განურჩევლათ, სწავლით და სამსახურით, დაიმსახურებს...

თანასწორი შრომა. ორივე სქესისათვის თანასწორი შრომის უსა.

ქმრიანი ქალისთვის უფლება, რომ ის თავის ნაშრომის ეპატრონებოდეს.

მევაკრე ქალისთვის, სავაჭრო სამსჯავრო-ში, როგორც ამომრჩეველის ისე ამორჩეულათ ყოფნის უფლებების შექმნა, აგრეთვე მუშა-ქალების ეკსპერტებათ ამორჩევა.

ქალის არჩევა სისხლის სამოსამართლო ყიურის და საქალაქო რჩევის წევრათ.

აი, ეს არის ლიგის პრინციპი. აქედან გადავიდეთ კრების საზოგადო სურათზე. რასაკვირველია, აქ ყველა ნაღაპრავყვის არ მოვიყენებ, არც საჭიროა; აღენიშნავ მხოლოდ მისი მოქმედების დედა აზრს და მტკიცე საფუძველს. კონგრესის კრება 8 (ახალი სტილით) აპრილს დაიწყო. ხუთ დღეს გასტანა. ყოველ დღეს ორ-ორჯერ ჰქონდათ სხდომა. პირველათ კრება თავმჯდომარის ამორჩევას შეუდგა. დასახელებს ორი კანდიდატი: ქ-ბ. ფერესს დერესში და ქ-ბ. მარია პონიონი. უმეტესობის სიმაჰატა პირველისაკენ იყო, მაგრამ მის ავთომყოფობისგამო ის საჰატოთ თავმჯდომარეთ იქნა არჩეული. ქ-ნ. პონიონი კი თავმჯდომარეთ. გაიხსნა კრება და შეუდგენ კითხვების დასამა—გადაწყვეტას. პირველი

კითხვა ქ-ნ. ეენსანმა წამოაყენა: „როგორც სხვა კითხვების საფუძველი კენჭი ჰყარეთ ამ კითხვაზე: კონონ-მდებლობასა და საზოგადოების წინ (ქალის: კაცთან) ორივე სქესის თანასწორობა“. კრებამ ეს წინადადება ერთ ხმათ მიიღო.

ამას სხვა-და-სხვა კითხვები მოჰყვა. ქორწინების და გაყრის შესახებ რეფორმები, ქალთა უფლება მათ ნაშრომის ანუ ქონების შესახებ, საზოგადოების ვალდებულება ბავშვების აღზრდის შესახებ, ქალთა უფლება არჩევანებში მონაწილეობის მიღებისა, ქალების მიღება ისე როგორც კაცების პროფესიონალურ რჩევებში და სხვა. აქ მოვიყენებთ თავმჯდომარის, ქ-ნ. პონიონის სიტყვას, კრებაზე წარმოთქმულს.

„ბატონებო! პირველათ გულითად მაძლიებს ეწირავ კრებას, იმ პატივისთვის, რომელიც მან მე მონაწილე თავმჯდომარის ალაგზე არჩევით. ვიტყვი, სამუშაოთ, დღეს ჩვენ შორის არ არის ის ქალი, რომლის სიტყვა ერთდროსთან შეერთებული, ძლიერი, მკვერ-მეტყველო და მკარძობიარე იყო. ეს წასულს მკუთხენის და ჩვენ არ შეგვიძლია მის მაგივრობა გაეწიოთ. ჩვენ მის საფულაზე ერთმანეთი გამოვიყენებთ მისგან დაწყებულ დიდ საქმის გასაგრძელებლათ. ამას უნდა მოვახმაროთ ჩვენი ენერჯია, ჩვენი ჯანი, ჩვენი სულის სიმტკიცე. უტყუარია, რომ ამის დაწყების ხსოვნა კონგრესს სამუდამო გულში ჩაჩრება. ამ დარბაზში, როცა მან გავგიმართა სასიკეთლო კონფერენცია, თანაგრძნობის და პატივისცემის ტაშს ეუკრავდით. ამ კონფერენციაში მან დაგვანახა ის მაჩუქებია, რომლებსაც გამო მსოფრუალებას რაგაგვიმდინავებ. ამში მისი უტყუარი შესედეულება პრეზენტს.

მარია დერესში ამ კრების დროს თვალწინ გვიდგია. ვინებმძღვანელოთ მისი მაგალითებით, მისი რჩევით და უსათუთო განგაზარცილებით მას რასაც ის იმდროებებდა. ის გადაიტყალა. მისი მიზანთულება, ენერჯია და შეუწყვეტელი შრომა დაწესებულია. მან ქალთა უფლებების ძიებით დაიბახურა საქალაქო რჩევის სიმაჰატა, რომელმაც სასოვირათ ერთ პარიეს-ქუჩას მისი სახელი უწოდა.

პარიესის საქალაქო რჩევამ ათასი ფრანკი დადგა ამ კონგრესისთვის. ეს მისთვის, რომ ენერჯიულათ ვიწრობათ ეცემათ ქალების უფლებები; უნდა ღიას სახელით მას მაძლიობას ვუძღვნით. ეს პრეზენტ დაწესებულებება, რომელმაც იცნო საპართოლონათ ქალთა უფლებების მოთხოვის პრინციპი. მისი ვალში ეს დიდებულს სახელს მოუპოვებს მას.

თუ კაცები და ქალები არ დაეცემართ, საზოგადო



გალობა ვერ მიახწევს იმ წერტილამდე, რომელზე-  
დაც ჩვენ ვოცნებობთ.

ბატონებო! (კაცებს მიმართავს) თქვენ დაიკავეთ  
თანამედროვე საზოგადოებაში ყველა ადგილი, ეს  
უსამართლობაა. რაც კი უსამართლოა სამუდამო არ  
არის. როგორც თქვენ, ისე ჩვენც გინდა მზის სხი-  
ვისი ღვებობა. თანახმათ ბუნების კანონებისა,  
კაცობრიობა მოქმედებს. ის იღვიძებს, მისი მიძინე-  
ბა (მიყვარება) შეუძლებელია. ახლა ეხედეთ, რომ  
ამ ბუნებრივ კანონებს ეძებენ, რადგან ისინი დროე-  
ბით, ოსტატურათ იყვენ დაფარული ბევრისთვის. ეხე-  
დეთ, რომ საზოგადოთ მიღებულ კანონებით ბევრი  
დამონაწიებულია, ამის გამო იტანჯებიან; ამისთვის  
აუკლებლათ ბუნების კანონები უნდა მოვიშველიოთ,  
იქ არის სამართლიანობა და ქვეყნარტება...

ეხედეთ რომ ქალები საზოგადო კანონ-მდებ-  
ლობის გარეშე არიან დარჩენილი, ესენი შეუწყენ-  
ლთ, უსუსურებთ ითვლებიან. ვითომ მათ არ შე-  
ეძლოთ რომელიმე მოვლენის შესახებ საკუთარი  
მსჯელობა იქონიონ და თავიანთი აზრი წარმოთქვან;  
მათ არ ეძლევათ უფლება თავიანთი ნაშრომის მე-  
საკუთრე ვახდენ გათხოვების შემდეგ. ქმარს, რომელი-  
საც უფლებები აქვს, შეუძლია დალუპოს, როგორც  
ყოლი ისე შეილები. ამ გვარია ქმრის პრივილეგია.  
ბატონებო, მაშინ ნათლათ დაინახავდით ქალის უსუ-  
სურობა—სირეცხვებს, თუ ის საზოგადო კანონ-მდებ-  
ლობაში მონაწილეობას ღებულობდეს. დაინახავდით,  
რომ მას შეუძლია თავისი მოწმობით სისხლის-სასა-  
მართლო პალატის წინ, დამატკიცოს კაცის მოქმე-  
დება ნათლათ, გინდა ეს სინამდვილე მას სიკვდილს  
უქადადეს. და აი, დღეს რომ უაზროთ მიგაჩნიათ  
მაშინ ნახავდით, რომ კარგათ მოსაზრებელი მსჯელი  
და შემთხვევების ამხსნელი ყოფილა ქალი, ისე რო-  
გორც მამა-კაცი.

საკომერციო საქმეში ქალმა იმდენი ნიჭი გა-  
მოიჩინა, როგორც მამა-კაცმა. მას კი ნება არა აქვს  
თავის ქონების პატრონი გახდეს და აქ საკომერციო  
კანონ-მდებლობა ფარველობას არ უწყევს, კაცს ამით  
სარგებლობს.

ერთ სენას დეპარტამენტში 8 ათასს ქალს  
თლიან საეკურო სახლების უფროსებათ და რატომ  
არ ჩაუკვირდეთ ამ მოვლენას, ბატონებო, რომ მა-  
თი ამბობება სრულიათ სამართლიანია! თავიანთი  
მოქმედებით მათ დამეტიკიცეს საქმეში ნიჭიერება.  
მაგრამ როცა საქმეა, თავიანთი სურვილი გამო-  
თქვან საზოგადო დაწესებულებაში და არჩენების  
დროს, იძულებული არიან თავიანთი კანტარის მო-  
ხელეები ანუ მოსამსახურეები გაგზავნონ ხმის მისა-  
ცხად.

სტატისტიკა გვიმტკიცებს, რომ ერთი მესამედი  
საზოგადოებრივი მთელი წარმოებისა ქალებისაგან კეთ-  
დება, მაგრამ ცელის ვინმე კანონ-მდებლობას ამ  
მუშა-ქალების სასარგებლოთ მამა-კაცები ვინა? რო-  
ცა პარლამენტი ქალების დამცველ წესდება იძლე-  
ვა, ეხედეთ, რომ ცხოვრებაში გამოუსადეგარია. ამის-  
თვის საჭიროა ყოველთვის შეცვალონ იგი. ცხა-  
ლია, რომ აქ ქალებს უფრო კარგათ შეეძლოთ თა-  
ვიანთ დაცვა და მოწინააღმდეგე ძალების შეთანხმება,  
ვინმე სავალდებულო კანონმდებლობას, რომელიც  
მაკლებულია ინდივიდუალურ თავისუფლების პრინ-  
ციპს.

თქვენ ეჭვობთ, რომ თუ საპოლიტიკო საქმეებ-  
ში მონაწილეობა მივიღეთ იმ დღიდან დეტო-  
რებთ ჩვენ კერას, ოჯახს, სიყვარულს, თანაგრძნო-  
ბას. მაგრამ, მე არასადეს არ გამიგონია, რომ სე-  
ნატორს, ან რომელიმე დეპუტატს ოჯახში სიყვარუ-  
ლის დრო არ ჰქონდეს, წინააღმდეგ, ხშირათ გამი-  
გონია მათგან, რომ ბევრი დრო აქვთ, ოჯახში სია-  
მოვინებისთვის, სიყვარულისთვის...

მომავალ დროის ქალს უფრო სიყვარული ექ-  
ნება, ვინმე წასულ დროისას, რადგან ის კარგათ გა-  
არჩევს ვინც სიყვარულის ღირსია, ამ ანგარიშით  
სიყვარული მტკიცე და სასურველი იქნება. აქ სურ-  
ვილიც დღია, რომ ზნეობა მაღალ და გონიერ ქალს  
უწყარადეს კაცი. ეს კაცს საშუალო მდგომარეობის  
და ამოიყვანს, რომელშიაც ის დღეს იმყოფება.  
აქედან ხედვით ბატონებო, როცა ზრდით დედა-კაცს,  
მაშინ აღიზრდება მამა-კაცი. როცა ოჯახის დედს  
თავის ქმრის თანასწორათ დააყენებთ, მაშინ უფრო  
შეაყვარებთ ოჯახს, შეილებს, თავიანთებს.

ჩვენ ვიმედოვნებთ, ეს ქალების ინტერნაციონალუ-  
რი კონგრესი ხელს შეევიწყობს და ცრუ-მოწმუ-  
ნეობას, ტრადიციონულ შეხედულებებს დაძვლეთ,  
ამს ეჭვი არა აქვს. ეს აკვიანებს დღემდის ჩვენი საქ-  
მის განხორციელებას. ამ საქმის შესახებ მსჯელობა  
სრულიათ თავისუფალია. ყოველგვარი აზრის წარ-  
მოთქმა შეუძლიათ; ჩვენ, ჩვენი მხრით, ჩვენი ძალ-  
ლონით ევტლებით დემატკიცოთ აზროვნების თავი-  
სუფლება, სინამდვილე, ისე, როგორც გვემისი. პატი-  
ვისკენით მოვეყვართ ყველა გულ-წრფელათ წარ-  
მოთქმულ აზრს. 1892 წლის კონგრესის შემდეგ ჩვენ  
მივიღეთ სენატრიან ვაჭარ-ქალების არჩევის წესი, რომ  
ისინი არჩეულ იქნენ საეკურო სამსჯავროში. საზო-  
გადო დეპუტატთა პალატამ უფლება მოგვცა სამო-  
ქალკო საქმეების შესახებ ქალაღმების შედგენაზე  
მოწმეთ ყოფნისა. ამანვე მისცა უფლება ქმრიან ქა-  
ლებს, მიიღონ თავიანთი ნაშრომი ფული, ქონება;  
მაგრამ ეს არ კმარა, ძალიან ცოტაა, ამ მხრით

სხვა ერობათა წეს-წყობილებამ გავსაწრო ბევრათ. წარმომადგენლები: ამერიკიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, დანიიდან, ფინლანდიიდან, ჰოლანდიიდან, იტალიიდან, პორტუგალიიდან, რუმინიიდან, რუსეთიდან და შვეიცარიიდან, გვეტყვიან, რომ ზოგი სათხოვარი, რომელსაც დღეს საფრანგეთში ქალები ეძებენ, მათ ამ მღებული აქეთ ან მალე მიიღებენ. აი, ქალები ასე უკანა ვართ ჩამორჩენილი.

ჩვენ გულწრფელ მადლობას ვუცხადებთ წარმომადგენელ ქალებს, კაცებს, რომლებმაც დატოვეს თავიანთი საქმე, სამშობლო, ოჯახი და მოვიდნენ, რომ ჩვენთან ერთად იმუშავონ, დავეხმარონ ამ დიდ საქმეებში. ამაზე ლაპარაკის გავრძელება საჭირო არ არის. აქ კი ორგანიზაციის კომიტეტის სახელით ვაცხადებ, რომ ქალების ინტერნაციონალური კონგრესის\* კრება იხსნება“.

ქალების ამ გვარ მოძრაობის შესახებ მოსწავლე სოციალურ კოლექტივისტების წრემ უმჯავოილება გამოაცხადა კრებაზე. ასე გამოთქვა მან თავისი დედა აზრით: „რომ მხოლოდ სოციალიზმის გამყვებებს შეუძლია დედაკაცის სრულიად განთავისუფლება ამ უდიდეს წეს-წყობილებიდან. ამისთვის ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ამ მიზნის მისახვევად საჭიროა კლასიურ ბრძოლის ნიადაგზე დადგენა, რადგან საზოგადო მუშების სამოქმედო პროგრამაში ქალებისთვისაც საჭირო უფლებების მინიჭება, ამას მუშა-ქალები, მუშების ორგანიზაციებიდან ვაშორებთ უფრო ძნელად მივიღებინებ; ამისთვის მუშებთან ერთად უნდა იმოქმედონ. მუშა-ქალების ამ კონგრესის წვერება უსაფუძვლოა. ეს საზოგადოთ ქალების ამსტრაქტიული სურვილია, რომელიც თვალსუხვევს მუშა-ქალებს. ამას ბურჟუაზიული საფუძველი აქვს და მუშა-ქალებს მხოლოდ გზას ვაჭურუნებ. აქ კითხვებიც ბურჟუაზულია, მავალითათ: ქორწინება, ვაყრა და დედა-კაცის უფლებების მოპოვება და სხვ. მივიღოთ მხედველობაში, რომ მუშა-ქალების მოთხოვნილება მკითხველია, მეორე ხარისხოვანია. აქედან ის გამომდის, რომ ეს ბურჟუაზული კონგრესი მუშა-ქალებს დაბნევეს; კონგრესისტთა მუშა-ქალების მოთხოვნილება კიდევ რომ პირველ კითხვად მიიღონ, მაინც ამის განხორციელება პროლეტარიის შეუყენებელ მოქმედებაზე დამოკიდებული, რომელიც მკიდრით შეტყაშორებულ ერთ კლას წარმომადგენს. ჩვენი წრის აზრია, რომ სრულიად ვაშორავდეთ არ არის მუშა-ქალებისთვის ქალების ინტერნაციონალურ კონგრესში მონაწილეობის მიღება და მოიწვევს მუშა-ქალებს, რათა საზოგადო მუშების ინტერნაციონალურ კონგრესს შეუერთდნენ,

რომელიც დიდი ხანია იბრძვის ყველა ადამიანის გასათავისუფლებლათ სქესის, ეროვნობის და რელიგიის განურჩევლათ. ამისათვის ვაუმზარჯოს ინტერნაციონალურ ჩვეოლიუციას, ვაუმზარჯოს ინტერნაციონალურ პროლეტარიას“.

ამან კრებაზე დიდი მღებლარება გამოიწვია. ატყდა ხმაურობა, რომელიც კაი ხანს ვაგრძელებდა. ეს ხმაურობა ამტიციებდა, რომ კოლექტივისტების თანამგზრობელი კონგრესისტებში ცოტა იყო.

მკითხველისთვის მივიწვინდვია ლივის პროგრამის კრიტიკულათ ვარჩევა. ის იქ დაინახავს საფუძვლიანობას ანუ უსაფუძვლობას, ჩვენ ვიტყვით მხოლოდ ამ მოძრაობის შესახებ საზოგადო აზრს. პროგრამა, საკამათო საგანი სასურველი და უსაჩიროესია, მაგრამ როგორც ყოველთვის, სურვილის და საჭიროების ასრულებას იარაღი ესაჭიროება. კონგრესის მიზანი სასიქადლოა, ეხედვით, რომ ამ სასიქადლო საქმის თანამგზრობელი მატულობენ, მაგრამ ვიყითხოთ, რამ გამოიწვია ეს თანამგზრობა? როგორც ყოველთვის, საზოგადო მოძრაობის, თვით ადამიანის ბრძოლის მიზეზი, თავის არსებობის შენახვა და ამის გაშვენიერება. ამ მიზეზებმა გამოიწვია ქალების ინტერნაციონალური კონგრესი. ესენი მამაკაცებისაგან თხოულობენ, თავიანთ უფლებებს. ესენი იძახიან, ჩვენი ადამიანი ვართ, ჩვენი უფლებები ჩვენ გვინდა. აქ რამ ლოდიკური სიმართლეა, ლაპარაკი არ უნდა, მაგრამ ამ სიმართლის მოსაპოვებლათ ნახმარი საშუალება იმდენათ სხვა-და-სხვა იქნება, რამდენათაც ეს საზოგადოება სხვა-და-სხვა ელემენტებისაგან შედგება. აქ უტყვევია, ზოგი რამეს დათმობს, ზოგი კი შეიძინეს. ეს პროცესი ხდება მისთვის, რომ უნდა ერთმა დათმოს, რადგან მოწინააღმდეგე ძალას ატანს. კაცის ეგოიზმს კი ნებით ბევრის დათმობა არ შეუძლია. მას ყოველთვის პირველათ თავისი-თავი ახსოვს. თუ რამე მოინარჩუნა—სხვას დაუთმობს. ვამბობთ საზოგადოების სხვა-და-სხვა ელემენტების შესახებ, და რა კი კონგრესისტები საზოგადოებას შეადგენენ, ამისთვის ვერც ესენი აცდებიან მათში სხვა-და-სხვაობას. ერთი შეხედვით მათი მიზანი-მოქმედება დიდებულია, ვისაც შეუძლია მონაწილეობას უნდა ღებულობდეს; მაგრამ საფუძვლათ ეკონომიური კითხვა და თითოეულს ეკონომიურ მდგომარეობას აქვს ვაეღვნა სხვა დანარჩენ კითხვებზე. ამ კითხვამ ალაპარაკა კონგრესისტები და ვაარჩევს მათ ისე, როგორც ვაარჩია ამ კითხვამ ბურჟუა პროლეტარიისაგან. ეკონომიურ და პოლიტიკური კითხვები—ისტორიულია. პირველი როცა საზოგადო სცენაზე წამოდგა, მეორე საჭირო იყო პირველის დასაცვლათ. აქედან უნებდეთ,



რომ პოლიტიკა, ყოველთვის ნივთის შინა-ყმა. რა კი ეს ასეა, ჩანს, რომ ქალების დამონების კითხვა, პირველად ეკონომიური კითხვა ყოფილა — და არის. ეს პროცესი რომ შეუწყველათ, წყნარათ გავრცელებულიყო, პოლიტიკური წყობილებაც მისკენ გადაიძლია, ვისაც ბევრი თუ ცოტა ქონება გააჩნდა.

ქალების კითხვაში სოფისტიკას შეუძლია საკმაოდ კითხვები გამოძებნოს. ის იტყვის: ქალი ბუნებრივად სუსტიაო, ოჯახის კეთილ-მდგომარეობა თხოულობს, რომ ქალი მეოჯახე, ქმარ-შვილის პოეტიკური უნდა იყოს და არა პოლიტიკისაო. ეს კი ბურჟუაზული საბუთია. ბუნებაში ევოლიუციას, სისუსტე-სიმეგრე მათი განვითარების, ან ვარჯიშობის რაოდენობით გაიზომება. სიყვარულისთვის, თანაგრძნობისთვის ცოდნა საჭირო, რომ სიყვარული და თანაგრძნობა ღრმა და შეუწყვეელი იყოს. ამით უნდა ჩაჩუმდეს სოფისტიკური საბუთის წამომყენებელი.


როგორც მონობა, ყმობა და დღეს ლატაკ-შეშების მდგომარეობა ეკონომიურ ნიადაგზე ბძიოლის შედეგი იყო და არის, ისე ქალების დამონების მიზეზს აქ აქვს ძირი. ამ მოსაზრებას შემდეგ ბუნებრივად შეეციბოდა ეთქვათ, რომ ქალების კონგ-

რესის დას-დასათ დანაწილება აუცილებელია. ამ დიდ წრიდან გაჩნდება სხვა-და-სხვა პატარა წრეები, ცალ-ცალკე თავიანთ ინტერესების დამცველი.

კრებს ეტყობა სხვა-და-სხვაობა, აქ რელიგიური, რადიკალური და სოციალ-დემოკრატიული კითხვები წარმოადგა; ამისთვის აუცილებლათ კონგრესის წევრები თავიანთ ინტერესების მიხედვით დანაწილდება და წარმოშობენ იმ გვარ დასებს, როგორც მამა კაცებში ნათლათ ეხედავთ. აქედან წარმომდგარი თითოეული დასი იმ მამა კაცების დასს მიემხრობა, სადაც იპოვის თავის პროგრამის მსგავს. ამას შეუერთდებიან და იწყებენ მოქმედებას.

შემდეგი კონგრესი 1900 წლისთვის მსოფლიო გამოფენის დროისთვის დანიშნეს. ვინატი ჩვენ ქართველ ქალებს ამ მსოფლიო მოძრაობაში წილი დავდეთ და თავიანთი ვინაობა წამოაცენებინოთ: „აი, მეც ქვეყანაზე ვარსებობო!“ ეს ისე ძნელი არ არის, როგორც ბევრს ვინაია. ხარჯიც დიდი არ წავა, მაშ უნდა გამოეძებრეთ ჩვენ ძველ ბუნავიდან და მის მოწამე მაინც გავხედეთ, თუ რას აკეთებენ, რაზე აქვთ დევა და სხვა.

ი. გაგაბაძე.




რკინის გზა ჩრდილიდან ამერიკის „კლდოვან მთებზე“.

### რკინის გზის საქმის წარმადგემა.



მ უკანასკნელ დროს რკინის გზის საქმე თანდათან დიდ წარმატებაში შედის სხვა-და-სხვა ტექნიკური გაუმჯობესებით, მაგ., ელექტრონული ძალის ხმარებით სამოძრაოთ და სხვ. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა მთის რკინის გზები. ამნაირი გზების მეოხებით ჩვენ დროში კაცს ეძლევა საშუალება ინახულოს იმისთანა ადგილები, სადაც ფეხით ან ცხენით მისვლა-მოსვლა ძლიერ ვასაჭიროა; ამნაირი გზების საშუალებით ყველა მოაზარუს შეუძლია ასედა უმაღლეს მთებზე, თითქმის ეფლიკანების კიდეებსაც კი უახლოვდებთან.



ყველაზე უფრო განვითარდა მთების რკინის გზის საქმე შვეიცარიაში, სადაც ეს გარემოება სხვა-და-სხვა მიზეზებმა გამოიწვია. აქ მოვიხსენებთ ახალ გაკეთებულ რკინის გზებს ბერნის ალპებზე, რიგის და პილატის მთებზე. პირველი გზა, რომელიც ადის ბერნის მყინვარებთან, იწყება გრინდენვალდენში, 1,037 მეტრის სიმაღლეზე; ის თანდათან აღმა მიდის სოფ. შეიდგამდის, რომელიც ვაშენებულია 2,064 მეტრ. სიმაღლეზე. ამ სოფლიდან ეილერ ეენგენამდე სწორი გზაა. აქ იწყება უზარმაზარი რკინის გზის შენობები, რომლების საშუალებით შესაძლებელია მატარებლის მოძრაობა დიდ დაიშართზე, რომელიც ალაგ-ალაგ 25-მ. მაგრამ აქ კიდეც არ ხმარობენ არც ჯაჭვებს და არც მსხვილ თოკებს მოძრაობის დროს.

ენგენი ძეგს 1,277 ფუტით მაღლა ზღვის ზედა პირიდან. დამუხებლილი (კუჭუბიანი) რელსები გაკეთებულია ბერნში განსაკუთრებული სისტემით, ეაკონები ოთხ-ოთხი ლერძიანია. ლოკომოტივებს აქეთ ორთქლით მოძრავე ბორბლები.

ყველაზე უფრო შესანიშნავია პილატის მთის რკინის გზა, ამ გზის სიგრძე ორ ევრსზე მეტია; დამართი მიახწევს 48-მ-დის, რაც აქამდის არც ერთ გზას არ დაუძლევი. თავის თავათ ივულისხმება, რომ აქ ყოველგან დამუხებლილი (заврание) რელსე-

### ვეზუვზე მისავალი რკინის გზა.

ბია. ამასთანავე ლოკომოტივი და ტენდერი მოძრაობის დროს მთიდან და მთაზე ეაკონის უკან აზრის მიბმული. საათში პილატის მთის რკინის გზის მატარებელი გაივლის სამ ევრს.

სხვა ევროპის მთის რკინის გზებთა შორის საინტერესოა ეულკან ვეზუვზე მისავალი რკინის გზა, რომელიც ახლა გაუქმებულია ამ ეულკანის უკანასკნელი აღმონახეთით. ეს გზა თავდებოდა კრატერის დან 200 მეტრის სიშორეზე, რადგან უფრო ახლო მიყვანა შეუძლებელი იყო; ძლიერი კეპალი წყნეთალებს და სუნთქვას უშლის ადამიანს; ამას გარდა არ იცი, რა წამში დაეცემა თაზე ვახურებულ ქვა. თვით ნიადავიც საშიშარი კრატერის ახლომხებლო, ის წამ-და-უწუმ სკდება. ეაკონებს ამოძაბებენ, რასაკვირველია, ორთქლის ძალით მსხვილი მართულებისაგან დაგრეხილ ბაგირებზე.

ევროპას გარდა ამერიკაშიაც არის მთის რკინის გზები, რომელთა შორის პირველი ალაგი უკან რაგს მდებარეობის სიშვენიერით დენვერის გზას კლავთ. ვან მთებში და აგრეთვე ევრაკუსიდან მექსიკაში მისავალ გზას. სასტიკ და დიად სურათებს კლდოვანი მთებისას აქვს თავისებური მომზიბლოვი სიშვენიერება.

ყოველი კაცისთვის. ამერიკელებმაც დააფასეს ეს სერჟისი თვისება ბუნებისა კლდოვან მთებზე რკინის გზის გაკეთებით.

ჩვენში? ჩვენ კი ჯერ შორს ვართ ამნაირი წარმატებიდან. თუმცა მთების სურათების სიმშენიერით ჩვენი მხარე არც ერთ ქვეყანას არ ჩამოუვარდება, მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენ ჯერ კი რკინის გზა სწორადკლდოვან კისერს ვვატყობებს, თორემ მთების რკინის გზიდან ღმერთმა დაგვიფაროს!

სხვა პროვინციიდან.

**ს** მ მცირე შენიშვნით მე მსურს, მკითხველო, შენი ყურადღება მივაქციო ერთ სამარცხვივო მოვლენაზე, რომელმაც თავი იჩინა ამ ბოლო დროს ჩვენ ისეთაც დაჩაგრულ და უძლურ შერლობაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ, ქართიელი მკითხველო, იმდენათ განვითარდი ამ უკანასკნელ დროს, იმდენათ უკვირდები ჩვენ ცხოვრების აუკარგეს, ჩვენი შერლობის საქმეს, რომ ის მოვლენა, რომელზედაც ახლა მე მსურს მივითითო არ გამოგეპარებოდა და არ დატოვებდი შეუნიშნავათ. აი, სწორეთ ეს გარემოება მამდლეს მე გამხედობას, რომ შენთან ერთათ, საერთო ძალით, წინააღმდეგეთ და ზიზლით მოვიხსენიოთ ის პოლემიკური კილო, რომლითაც იერიში შემოაქვს ჩვენ შერლობაში ვაზ. „იერიის“ მოაშეკეს, ბ. Plebs-ს. ერთი ვიკითხოთ, მკითხველო: ეინ არის, რას ქადაგებს ეს Plebs-ი, ან ვის წინააღმდეგ მოუხსნია იმას თავი გაუშუქებული ლექსიკონისათვის? მაგრამ არა! ჩვენ ამ ყოველათ უშნიშნველო კითხვების საპასუხოთ არ გვცალია, Plebs-ის ნაწერებს გარჩევის ღირსათ არ მთვლით ისე, როგორც თვით ყურ. „მოამბის“ „სალიტერატურო შენიშვნების“ ავტორსაც, რადგან ჩვენ მათში ვერაფერს ვპოვებთ, რომ მკითხველის ყურადღების ღირსი იყოს; ამას გარდა, ბ. Plebs-ის აზრების სიყალბე რამდენჯერმე იყო გამოაშკარაებულა.

არა! ჩვენ გესურს მხოლოთ წინააღმდეგეთ და შერლობიდან განვღვივოთ ის ლიტერატურის შემ-

ლახველი პოლემიკური კილო, რომელსაც ბ. Plebs-ი და მისი მსაგებები ხმარობენ. შორს, შორს ჩვენგან ჩოგნის, მოგვერდის და შოლეკების მოტრიალდევ, ბ. Plebs-ო! თუ მაინცა და მაინც არ მოვიშლიათ „ქოლეთი“ და ხელ მარჯევ ცემით ნავარდობა, გირჩევთ ნიაშუროთ რომელსავე გუბერნიის „სპარაენიკს“ ან „ზემსკი ნაჩალნიკის“ თანაშემწეს; გარწმუნებთ, თქვენ იქ საქმარისათ დოკმაყოფილეთ თქვენ სურვილს, და შეიძლება დიდი ჯილდოც კი მიიღოთ ცნობილი თავად მეშჩერსკივან. თორემ, ჩვენ შერლობაში თქვენ შოლტებს და ჩოგნებს ალაგი არა აქვს. მკითხველი საზოგადოება ზიზლით იხსენებს თქვენ საქციელს, და ამიერიდან ვაზ. „იერიის“ ფურცლებზე თუ არ შეწყვეტილა თქვენი შოლტების სხაპა-სხუპი, მაშინ ჩვენ, მკითხველი საზოგადოება, იძულებული ვიქნებით სულ სხვა ზომა მივიღოთ. ჩვენ რა შუაში ვართ, რომ ბ. Plebs-ს ქვენა სურვილების ქარტახილი ავარდნია. აქაო და მე საშუაოთ ვარ მომზადებული ამიტომ ყველაფერი სიმდაბო მომეტევაბაო. სასტიკათ ცდებით, ბ. Plebs-ო, და კიდევ უფრო სასტიკათ ცდება თვით ვაზ. „იერიის“ თქვეთვის შოლტებით საეარჯისო ასპირეზის მოწიჭებისათვის. დროა განიდევნოს შერლობიდან ყოველგვარი პლებსისებური ლიტერატურის გამათხსირებელი საპოლემიკო კილო.

საღმისს შეგობაში.

ცხბერების სურათები

მეჭოჩები.

- დილა მშვიდობის, თეო-ჯან!
- რა აღრე გავლემებია!
- ჯერ მზეც კი არ ამოსულა...
- ახალი რა ამბებია?
- მართა-ჯან! მოყვარული ხარ, ვიცი, ამბების ცხელ-ცხელის, — და შენთან მოველ პირველათ...
- იცი, რა მოხდა წუხელის?
- რა მოხდა, შენ გენაცვალე?
- რას ავგინებ, მითხარი!..
- შენც კარგათ იცნობ ვლენეს: —
- ათი დღის წინეთ მის ქმარი თავის სოფელში წასულა, —



რალაც საქმე ჰქონია,

და რომ დაბრუნდა წუხელის,  
რა ნახა, როგორ გგონია?

—რა, რა, რა? ჩქარა მითხარია!  
სული ამომხდა ლოდინით...

—რაი და—ქმრის ხმა რომ ესმა,

ქალი წამოხტა ლოგინით,  
შეიქნა რალაც ფხაკური,  
რალაც ჩურჩული ხმანი...

თურმე, დღით უქმრო ელენე,

ღამ-ღამით იწვა ქმრიანი!

სხვა გზა არ იყო—ახალმა

ძველ ქმარს მიმართა და ეცა,

და იგი თავზარ ნაცემი

იქავე პირქვე დევს.

გონს რო შოვიდა, ცოლს ჰკითხა:

„ქალო, ვინ იყო ისაო?“

მან უპასუხა: „არა ვიცი,—

ქაჯი თუ იყო ტყისაო!..“

—ხა, ხა, ხა, რა გამახარე!

შენ გავახაროს იესოამ!..

ღმერთო, რა სასაცილოა!

და მართალია სულ ეს ხომ?

თუ, ჩვენებურათ, გაწყობილ—

გაშალაშინებულთა?

—შენთან არ ვფარავ,—ცრტათი

შეთხზულ—გაშენებულთა...

ელენეს ქმარი—ეს ვიცი—

სოფელში იყო წასული;

ესეც ეტყობა—ცოლს ქმრისკენ

არ აქვს არც გული, არც სული...

კიდევ ეს ვიცი—ელენეს

მრავალი ვარშიყება...

და დანარჩენი რომ შეგთხზათ,

უსაპართლობა იქნება?

—კი, გენაცვალე! ვინ ამბობს!..

შეამკე, გაალამაზე!

დაგიმალდებენ,—საყვედურს

არაეინ გეტყვის ამაზე.

—ახლა მშვიდობით, მართა-ჯანი!

წავალ, ვეთამბოზ ნაცნობებს...

გაღმა გადავეცემ ნინოსა,—

ყველას დაივლის, აცნობებს.

—წაიღე, გთავაყვ, გაღმისკენ,—

გამოღმას ნუ გაქვს დარღები:

ახლადე კაბას ვადეცივამ

და უზმით ვადევეარღები.



სილოვანი.

ნ უ შ ი ა.

(მთასრობა) \*

IX.



აისტუმრა ჯაგუმ მარქიტა და მოლოდინათ  
გადაიქცა. რამდენიც მცერი დრო ვადიდა,  
იმდენი უფრო მოუსვენრობა ეტყობოდა, იმ-  
დენი უფრო ღელავდა. მართალია, ისეც წინანდებუ-  
რათ მუშაობდა თავის „სახლინოში“, ისეც ყველა-  
ფერს სარისტას აძლევდა, ისეც ყველაგან იყო ერთხა  
და იმავე დროს, მაგრამ ამას ყველაფერს თითქმის  
შეუგუნებლათ ასრულებდა, ჩვეულებათ გადაქცეოდა  
ესეთი მოძრაობა და ისე მოქმედებდა, იმისი სული  
კი სხვაგან იყო, იმისი გონება სხვაგან ჰქროდა. ნუ-  
შო ვახლოვდა ცხოვრების მიზნათ; იმის ფიქრები  
ნუშოს დასტრიალებდენ, როგორც მუქს ფარანები,  
იმისი გჭმობები ნუშოს უაღფრესდენ და ეკონფ-  
ზოდენ, იმისი სურვილები ნუშოსკენ მიისწრაფოდენ.  
ნუშო იყო იმისი მნათობი და მოუთმენლათ ელო-  
და თავის მზის ამოსვლას; მზის ამოშუქებამდინ კი  
ბნელი სულს უზნუთავდა: სუნთქვა უგუნდებოდა,  
ჰერი ვეღარ ყოფნიდა, თვალი სულ კარისკენ ეჭ-  
რა. ჩადრიან დედაკაცს არ ვაუღლია ქუჩაზე ისე, რომ  
ჯაგუს მარქიტა არა ჰგონებოდა ღე ფერი არა ცელოდა.

მარქიტა კი იგვიანებდა: გამოცდილი იყო თა-  
ვის ხელობაში და საქმეს აგვარებდა, არ ჩქარობდა.  
როდესაც გამოიკითხა ყველაფერი ღე მიილა გადაწყვე-  
ლი პასუხი, ჯაგუსკენ ვაგუმრა. შევიდა ბაღში, ავი-  
და ოთახში, ვაგზენა ბიჭი დასამახებლათ. ჯაგუმ  
ვერ შენიშნა მაჭანკალი: სწორეთ იმ დროს ვიღაც  
მუშტარს ვლაპარაკებოდა. როცა ბიჭმა მარქიტას  
სახელი ახსენა, ვაგვაცს ფერი წაუფიდა, გულმა ძგერა  
დაუწყო, უნებლიეთ პირჯვარი ვაღისაბა. მოისმინა  
მაჭანკლისაგან სასიამოფონო ამბავი, ძალიან ვაგზარდა,  
სიხარულით ცას ეწია, კინაღამ ვადებვია დედაკაცს.  
რომ ეკითხათ მაშინ იმისთვის, ვინ არის ქვეყანაზე

\*) ის. „კვლეი“ № 19.

— მე ძალიან მიამა, რომ ვგრე ფთხილობენ და ჯვარისწერას აჩქარებენ. რას მიცნობენ, რომ ახლადვე მენდონ. სწორეთ პატიოსანი ხალხი ყოფილა. წადი, ჩემო მარქრიტა, და უთხარი: ზევ საღამოზე ნიშნას მოვიტან, — ნიეთებს არჩევა და ყოფდა უნდა, — დღისასწორის ჯვარს დაეწერს; უთხარი, რომ დღეს, რვა საათზე, იქა ვარ: მინდა ვნახო ისინი, მინდა ერთი თვალბეში ჩაებნელო ჩემ საყვარელს, მინდა იმისი ხმა გავიგონო. მარქრიტა გატუტტუტუდა; თან ჯობეს მალ-მალ იშინჯავდა, ფული არსად დაეკარგო.

კაცის ცხოვრებაში არის ისეთი წამები, როცა ის აფრთხიანებულია, როცა ის ატაცებულს თუ არა, მთვარის კი მოგაგონებთ; უღვინოთ მთვარალია; რამე მიწრაფევა ათრობს რომელიმე აზრი, თუ გრძნობა, თუ სურვილი მთლათ დაიპირჩილებს კაცს, განხორციელდება იმაში და თავის სახეს აძლევს იმის მოძრაობას, იმის მოქმედებას, მთლათ იმის არსებას; მოუჯადოვებს ნებას და ისე აქანებს, როგორც ნაფუტს ტალა. ჯავუს არსებაში ახლა იმ ქალის ნდობა გახორციელდა და შეცვალა კაცი. თანხმობის ამბავი რომ მოუყვია, ჯერ გარინდა, — არა ჯეროდა თავის ბედნიერება, თუ ჯერ ვერ გავთვალისწინებია ეს ბედნიერება, — მიერ დაეღდა, აღტაცებაში მოვიდა და ველარც გამოერყვია ამ მდგომარებას ქორწილამდინ. ნუშოს თვალები ათრობდენ იმას, იმის ხმა ანგლოზის ვალობა ეგონა, იმის კულულებს სიცივის ბუნჯავალს აღრიდა, იმის ტანის რხევა სისხლს უღვლეებდა, თავს ავიწყებდა. შინ იყო — დანიშნულთან მისვლას ნატრობდა, ქალისას იყო — იმასთან ახლო ჯდომა უნდოდა, დანიშნულს უჯდა გვერდით — ხელის მოხვევას ღამოდა, მოხვევენას და ჩაკონებას მოახერხებდა — წყინდა, რომ ნუშო ცალკე არსება იყო, ცალკე პიროვნება; წამოვიდოდა და ჯერ ათი ნახაიერ არ გადმოედვა, რომ ისევ მოწყურებოდა ქალის ნახვა, მოწყურდებოდა ისე, როგორც იმამილი წყალი უდაბნოში. ბევრჯელ რასმე მოიმიზებებდა, უკანვე დაბრუნდებოდა. როცა თითონ ვერ მიდიოდა დანიშნულთან, მაშინ ზედი-ზედ უჯზავნიდა წერილებს, შერჩეულ ხილს, სავანგებო საზღოს, ძვირფას ნიეთებს, ყვავილებს, — ჯავუს სურდა ნუშოს გარს სულ ყვავილები რტყოდა, უნდოდა იმისი სახლი თიავლათ გადაეძქცია, რომ ყვავილებს მოელოდესნიანი იმისი ნათელი თვლებისთვის, დაეტყობათ იმისი ყნოსვა, ეამბნათ იმისთვის, რა რავათ უქარდა ის ჯავუს. ყვავილებსაც ესმოდათ ეაქვაცის გულსიტქმა, იმატამ უღიმოდენ ჯავუს ისე შეეჩვიათ; ნუშოც ხომ ყვავილი იყო, უმკლუტუსი

გარეთუბანში ყველა ნუშოს შენატროდა, ყველა ჯავუს ლოცავდა, რადგან ეშხით მთვარალი ეაქვაცი მეზობლებსაც კი პატრესა სცემდა. მაგდა ხომ სინარულით ფეხზე აღარ იდგა. გაათცეკვა მეზობლების პატივისცემა, მეზობლების აღერის: თითონ რომ ბედნიერი იყო, უნდოდა ყველა კმაყოფილი და მხიარული ყოფილიყო, უნდოდა ყველას დაელოცა იმისი ქალ-ნიძე.

მოვიდა ქორწილის ღამე, მაგდას სახლი და ეზო ქაჭანებდა. იქაურობა ხალიჩებით მოფენიანთ: ჯავუს გამოეჯახენა; სხეაც ბევრი რამ გამოეჯახენა საქორწილით. მთელი გარეთუბანი იქ იყო, სახლი და ეზო ვერ იტყედა ხალხს, ქუჩაც გამსებულიყო. ბეგრს უნაროდა ნუშოს ბედნიერება, ზოგი შურით უყურებდა, ბევრი პატარძლის შეფენებას გავტაცა, ზოგ ახალაჯანას ახლა ახილოდა თვალთა და ჯავრით გულში მუშტს იცემდა, რათ გვატანე სხვას ამისთანა მარგალიტო.

ნუშოსთვის თავი დაცხურათ. საღედოფლო თეთორტანისამოსში იყო გამოწყობილი. მარგალიტით ნაკერი თასკრავი შუქს აყენებდა იმის სავტაც შებლს, დაბამული, მალათა შეყრილი ღეჩაქი ბჭყურიალებმა, თითქო ოქროს ფურცელი გაღუნენეათ ქალი-სათვის თასლა. ყურადღებას იზიდავდა ძველმურთი გულის-ქინძისთავი: ოქროს ღერს შუა ადგილას წყებლა შტოები გამოსვლოდა იმკრავლივ და შტოების გადმოხრილ თავებზე მარგალიტის კუფხლები გადმოკიდებოდენ; ღერო, მარგალიტებს რომ აცდენოდა, სამთ ვაყოფილიყო და სამივე ტოტი ზურ-მუხტებით იყო შემკული. აღვლებული ქალი განხირებით რომ სუნთქავდა, მარგალიტები თითოდენ, ღია მკერდის კაცნას ცილობდენ.

ორბელიანთ ცვლესია და იმისი მიღამოც გვენათებით; ხალხით აესილიყო იქაურობა. ორბელიშვილის ქალები დაპირებოდენ პატარძალს ჯვარისწერაზე გვერდის დაშვენებას და კიდევ მოსულაყვენ საყდარში. შემოსილი მღვდელი ხან კარებიდან იხედებოდა, ხან საკუთონველმოვე შედიოდა.

მოგრიადდენ ძამიანთ სახლთან ეტლები. გადმოხტდენ ჯავუ და ათიოდე იმისი მაყარი. ეს ფაქიზათ ჩაცმული იარალში ჩამსხდარი ეეშპაივით ეაქვაცები რომ გენახათ, მშობლებს კურთხევით უხსენებდით. ბევრ გარეთუბნელ გოგოს გააყარიალა ტანში იმთ ნახეზზე. ჯავუმ ვაცნო ქალებს თავისები. ყმაწვილ-კაცების თავაზიანობამ და მოხდენილიმა ქცევამ მოხიბლა სტუმრები. ქალი რომ მიჰყენდით ეკ-

ლესიაში, ღედა თან ცრემლებს აფრქვევდა, თან ილიმბობდა. გვირაგინი ქვეშ მგებთა დაშვებდნენ ნეფე-ღედაფალი. ღვედლი უხვ სასყიდლს გამოელოდა და დიდი სასიამოვნო ბუკელებს აწარმოებდა. ეს კი იყო, რომ ხალხის ყიფინმა და ძაწილმა ილაჯი წაიღო. მაგრამ ეს ხომ ესეა თითქმის ყველგან ჩვენში, შიგ ხაყდარში ხმაურობა, ქლავი-ქლუფი, ორახზოვანი სიტყვების ძაწილი სამართა შინა ართმევს ამ საიდუმლოს, უბრალო რამ მოქმედების ფერსა ღვებს.

მეგვარემ ამოწოდელი ხმლით გაუკავლა ნეფე-ღედაფალს სახლის გზა, კალია ბუკეში თავიგვირგინიანებს საინებთ დაამტკიცებს ფეხით—ბორაოტი დათრგუნეს. ვერცხლის ბალით მირთმეული შარბათი დალიეს—სიტკობებს ეწაფუნენ. ჯაგუმ მიაკლია ქალი იმისთვის მომზადებულ ოთახის კარამდინ. ოთახი კონტათ იყო მოწყობილი, მაგიდა საყე იყო საჭირა და სალამაზო ნივთებით. გაწერთნილია მოახლემ თავი მოაწონა ნუშოს. ქალმა შეისწორა ტანისამოსი, გაუღობა თავის თავს ქველის საკრეში და გამოვიდა სასტუმროში. მოიტანეს ჩაი, ხილიულობა. გაიმართა ცეკვა. გაშალეს ფაშაში. ბოლომდის მზიარულება არ შეწყვეტილა. გათენებამ მოატანა, სტუმრები რომ წაიღენ. ჯაგუმ სატრფო საწოლში შეიყვანა.

ქალ-ვაჟის შეყრა სახით და შედეგით ერთი და იგივეა საზოგადოთ, ხასიათით კი დიდათ ვასხევედება, იმდენათ ვასხევედება, რომ ზოგ შეყრილებს თუ ნეტარებათ მოახჩინათ და ამაყოზენ ამ შეხედვრით, სხვა შეყრილებს ეზიზღებთ ეს შეხედვრა, შეურაცხებთათ თელიან. ქალ-ვაჟის შეხედვრის ხასიათი სიყვარულის, ერთმანეთისადმი ლტოლივლებს, სიძლიერეზე არის დამოკიდებული, თუ შეუღლებულებს ნამდვილათ უყვართ ერთმანეთი, მაშინ იმათი შეყრა ტკბილია, სულიერათ წინათვე დაკავშირებულები ხორციელათკ ერთდებიან და ამასხით ხდებიან ერთსულ და ერთ ხორც; მაშინ ვაჟკაცისათვის მეუღლე არის ხორცი-ხორცია მისთავანი და ძვალი-ძვალთა მისთავანი, ისე რომ ვეღარც კი არჩევს სადა თავდება იმისი არსება და სად იწყება მეუღლის არსება. ეს სიყვარული განუსაზღვრელი სიყვარულის აზრდილია, თითონ განუსაზღვრელი სიყვარულია ქვეყნათ მოვლინებული. თუ ქალ-ვაჟი მარტო იმისთვის შეყრილან, რომ მოყიფულან და ერთმანეთს შეხედვრან, მაშინ შეყრა მარტო სხეულის დაქმნაყოფილება იქნება, როგორც, ვთქვით, ჰამა და როგორც გამაძლარი აღარ ეაღვრება საჭმელს, ან შეიძლებს ერთსა-და იმავე სარეაგეს, შეუღლებულებიც ისე მოიპყვანილებენ ერთმანეთს ან ხელსა ჰკრავენ. თუ ერთს უყვარს, მეორეს კი არც უყვარს არცა სძულს, მაშინ პირველის ტრფობა მეორეს არც ესმის საყვებით, ვერ გაუზომავს გრძობის სიღრმეს, საყვებით ვერ მიუწყავს ნდომას. ეს ცალმხრივი სიყვარულია. ესეთი ურთიერთობა მზარბოტნილი შევარდინია: რაც უნდა ღონიერათ იქნის ცალი ფთა, ვერ მიწვდება ლაქვარდ ცას, ვერ განავარდებს იმის სიერცეში. თუ ერთ შეუღლებულთავანს უყვარს, მეორეს კი სძულს, მაშინ პირველის აღერსი მეორეს პირუტყულ ქინათ მიანინა, შეყრა თავის შეურაცხება ჰკონია. კრულია ესეთი შეხედვრა, ქვეყანათ ჯოჯოხეთია.

რის არც ესმის საყვებით, ვერ გაუზომავს გრძობის სიღრმეს, საყვებით ვერ მიუწყავს ნდომას. ეს ცალმხრივი სიყვარულია. ესეთი ურთიერთობა მზარბოტნილი შევარდინია: რაც უნდა ღონიერათ იქნის ცალი ფთა, ვერ მიწვდება ლაქვარდ ცას, ვერ განავარდებს იმის სიერცეში. თუ ერთ შეუღლებულთავანს უყვარს, მეორეს კი სძულს, მაშინ პირველის აღერსი მეორეს პირუტყულ ქინათ მიანინა, შეყრა თავის შეურაცხება ჰკონია. კრულია ესეთი შეხედვრა, ქვეყანათ ჯოჯოხეთია.

ჯაგუმ გაგვიტოლა ეტრფოდა ცოლს და ტკბებოდა, მაგრამ იმას რომ ნეტარების ფრთები ასხმოდა და მეშვიდე ცას მისწლოდა, ნუშო ღედაშიწვებდნენ დარჩენილიყო, მხოლოთ სურვილს იკლავდა, ქმრის აღბაცებას კი ვაკვირებით და ცნობის-მოყვარებით უყურებდა. შემდეგაც ვერ შეძლო გაეზომებოდა ქმრის გრძობის სიღრმე: ის რომ თავს ევლებოდა ქალს, ის რომ საწეთლივით დნებოდა იმის უწყებ, ქალს სიყვარულის საზომათ კი არ მიანინა ეს, თავის ღირსებების სასყიდლათათ თელიდა ყველა ამას: წინათ ღედა ემსახურებოდა და აწებებოდა იმას, რადგან ნუშოსთანა შეილი ღირსი იყო მშობელი მტლეთ დაღებოდა, ახლა ეს კაცი ცივ ნიაჭს არ აღენდა, რადგან ნუშო შევნიერება იყო და სწორეთ ესეთი მოპყრობა შეშენდა; ესთეფოდა უნდა შეხედვრებინა ბედს იმისი თავი, მაინც ფუფუნებაში უნდა ყოფილიყო, ესე ძვირათ უნდა დეფუსებინათ ის. თავის მხრივ ისიც საქმარისათ მიანინა განაზებოდა შეყვარებულ ქმრის და ხანდისხანად ლოყა მიეშვირა მისთვის საკოცნელათ. ღეთის წინაშე, ამ ცეკლუცის ლოყაზე მოხვევა ღირდა ქიმით, რომ კაცს თუნდ ცეცხლის აღში გაველო ამისთვის.

გ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

ბ. ურბნელის შენიშვნების გამო.

(ისილე „ივერია“ № 38, 1896 წ.) 1)

**შ**ირველათ მადლობას მოვასხენებ ბ. ურბნელს, რომ იწება და მოგეაწოდა გაზეთის საშუალებით ცნობები ქართველთა შორის ქალთა მოტაცების შესახებ და აგრეთვე თუ რა უფლებები

1) ეს წერილი იყო გაგზავნილი დასაბუკლათ იმისთვის, ვის ღრმადი, „ივერია“ რედაქციამ, სადაც, ან წინააღმდეგობაში, ან დასაბუკლათ.



ქონდა უკანონო შვილს (ბუშს) და ცოლს (ხასას) ქმრის ქონებაზე. მაგრამ არ შემოძლია უყურადღებოთ დაეტოვო რამდენიმე შენიშვნები ბ. ურბნელისა. მით უმეტეს, რომ ის უსაყვედურებს ახლანდელ ქართველ სტუდენტობას, ვითომ ამ უკანანკნელს არაფრათ მიანიხსნა სამშობლო ქვეყნის ვარამი.

ბ. ურბნელი ფიქრობს, ვითომ ახლანდელი ქართველი სტუდენტობა ვაზეთებს არ კითხულობს და არ ადევნებს თვალ-ყურს თავის სამშობლოს მდგომარეობას და ქირ-ვარამსო, და გვიჩვენებს წაეკითხოთ ქართული გაზეთები, საიდანაც ვაევიგებთ, თუ როგორ იტაცებს რამდენიმე ქართველი თვადიშვილი ახალგაზრდა სომხის ქალს და თუ როგორ განიხილავენ ამ საქმეს ახლანდელი მსაჯულნი. <sup>2)</sup> რჩევისთვის მაღლობის ღირსია ბ. ურბნელი და მართლაც საგულისხმოა ეს დარიგება მხოლოდ იმ ქართველ სტუდენტებისთვის, რომლებიც არ კითხულობენ ჩვენ ჟურნალ-გაზეთობას. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ურბნელის დარიგებას ხსენებული კითხვის შესახებ ჩვენთვის, როცა ჩვენ დასახლებული მაგალითის მსგავსი ათასობით ვიცით უსაყვედოდ ჩვენი ცხოვრებიდან და იმისთანა პირებაც ვიცნობთ, რომლებსაც ჰყავთ ხასები, მაგრამ ამგვარი ცოდნა არ მიგვიჩნდა საკმაო საბუთად ჩვენი კითხვის გამოსაკრევეთ. მასთან ბ. ურბნელი მოიხსენიებს თავის შენიშვნაში, რომ მოტაცება ორგვარი იყო: „პირველი ძალით და საცოლოს დაუკითხავთ და მეორე იმის თანხმობითა და ნების დართით. ახლაც ჩვენი მიოს ხალხში დარჩენილია ეს ორნაირი მოტაცება“. ამაზე შემოძლია ვთქვა, რომ, არა თუ მისი ხალხში, ვაჭვირდა არის ახლა ეს ჩვეულება, და ამასთანავე არა თუ ორნაირია მოტაცება, არამედ სამნაირიცაა: მესამე გვარი მოტაცებაა, როცა არა მარტო ქალის, არამედ მშობლების თანხმობით და ნების დართით, ვაჭვი (სასიძო) იტაცებს ქალს. შესაძლოა უწინ არ იყო ეს ჩვეულება, მაგრამ დღეს შეგვიძლია ამის მავალითი ბეგრის მოვიყვანოთ. ჩემი აზრით, ეს აიხსნება ჩვენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობით, რადგან ქალის მშობლებმა იციან, თუ რა დიდი ხარჯი და შრომა გადის ქორწილის გადამდაში ჩვეულები-სამებრ, და რომ მოუტაცებელ ქალს ცოტა თუ ბევრი მზითვის მომზადებაც უნდა (ქალის უმზითოთ გასტუმრება სასირცხოთ მიანიხათ და ჩვეულების წინააღმდეგ თელიან), ისინი ამჯობინებენ ამაგების ასაკილებლათ, მოატაცებინონ სასიძოს თავისი ქა-

ლი, ვითომ მათი ნების დაურთველათ და დაუკითხავათ. სხვა შენიშვნებზე არაფერი მეთქმის, რადგან არ ვარ თვითონ გაცნობილი ჩვენ ძველ კანონებთან. მასთან ბ. ურბნელის წერილი წარმოადგენს იმის ახსნას და განმარტებას, რაც უფ. მაქსიმოვილევის უწერია და სხვებს უტოა ენაზე. ბ. ურბნელი მძანებს, რომ უწიდელ ქართველ სტუდენტების გულ-გრილობას თავისი მიზეზი და საბუთი ჰქონდაო. მიზეზათ და საბუთათ მოყავს ის, რომ მაშინ თვით ვამუჩენილი მეციერნიც არას ფიქრობდენ საქართველოზე და კათედრიდან ერთი სიტყვიც არ იხსენებდენ ჩვენ სამართალს და ისტორიას, ჩვენ წასულსა და აწმყისო. კავკასია დავიწყებული იყო და არვის ახსოვდაო და რა ვა სხვაზე არ ფაქრობენ საქართველოზე, ანგ მაშინდელი ქართველ — სტუდენტობა გვიჩვენებდათ. ახლა კი მეციერების ტაძარში მოსწავლე ქართველს დიდი ბედი და იღბალი ეწია, რადგან მას უყითხვენ და აჯონებენ სამშობლოზე გამოჩენილი პროფესორნი და მეციერნი, რომლებიც ჩვენ სამშობლოს ვაუაიცებთ თვალს ადევნებენ და სწელობენო.

არ ვიცო, როგორი თავის მართლებათ ეს, თვით მკითხელმა დააფსოს. ბ. ურბნელს კი ეთხოვთ დავისახელოს, თუ რომელი უტოა ქვეყნის მეციერია ის, ან რომელი ორლანო ჩვენ დროში, რომელიც საქართველოს იჯონებს და მასზე ჰჭიქრობს ქართველების და საქართველოს სასარგებლოთ? რომელი კათედრიდან ჰდავებენ, ან ერთი სიტყვიც იხსენებენ ჩვენ ისტორიას, ლიტერატურას, ეთნოგრაფიას და სხვ. მე არა ერთხელ მოამისწვინა აქ ფილოლოგიის და სამართლის მეციერების პროფესორების ლექციები, მაგრამ ერთხელაც არ გამოჩინა, რომ ვისმეს შედარებით ან ვაკერით მიწვ ეთქვთ საქართველოზე. მხოლოდ 1893 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში ვევიკითხავ და ბ. გრენი ქართველ სტუდენტებს (მსმენელების უმრავლესობას შევადგენდი ვეიმები) საქართველოს ისტორიას და ეთნოგრაფიას. ეს იყო და ეს. ისიც ძლიერ მოკლეთ და თავისებური შეხედულებით, მაგრამ ჩვენ მიწვ კმაყოფილი ვიყავით, რა კი გვეხმოდა საქართველოზე სხვა და ბასი.

ბ. ურბნელი კიცხავს საზოგადოთ ახლანდელ ქართველ-სტუდენტობას, ვითომ ის გულით არ ეკიდება საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, სამართლის და სხვ. შესწავლას. ჩემი აზრით ცდება ბ. ურბნელი: ეგ არ ითქმის ახლანდელ ქართველ-სტუდენტობაზე <sup>3)</sup>. აწინდელი ქართველი სტუდენტი კითხულობს

<sup>2)</sup> არ ექნება ურგო, გვანახოს ბ. ურბნელმა, დიფისნას შეკოადეს ჩვენ სასამართლოებში ვასტანგის განონება, თუ არა?

<sup>3)</sup> მე არ ვეხები აქ ძველ სტუდენტებს, მის შესახებ შეიძლება შეუდობა ცნობები ხასის ვაფ. იმედა 1881 წლის № 5 გ. ვიფშაძის ნაწერი და ნ. ნიკოლაძის „სასწაფლო“.

არა თუ მართა ქართულ ქურნალ-ვახეთობას, არამედ უცხოეთისასაც. თვალყურს აღევნებს არა მართა სამშობლო ისტორიის მიმდინარეობას, არამედ ევროპისასაც. მეცადინეობს და ვითარდება არა მართა თავის სასარგებლოთ, არამედ ფიქრობს საზოგადოებრივ დანიშნულებასაც\*). ის ცდილობს ჯერ თვითრითადად განვითარდეს და ისე დაბრუნდეს უმაღლეს სასულიეროდან თავის სამშობლოში ღონიერი და მომზადებული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. ვარწმუნებ ბ. ურბნელს, რომ თითოეული ჩვენგანი გამსჭვალულია იმ აზრით, რომ სამშობლო ქვეყნის სამსახურს მოანდომოს მთელი თავისი ძალღრენი.

ბ. ურბნელი მაყვედრის, როგორ თუ ვაგებდეს ქართველმა სტუდენტმა, საუნივერსიტეტო ქალაქში მყოფმა, მიწურა და შეწყუბება საქართველოში მყოფ პირებსაც; თითონ არ გავისარჯებ და არ მოვძებნებ უზარალო ცნობა უნივერსიტეტში, სადაც ვითომ ევროპის და რუსეთის მეცნიერები გაგეცნობენ ჩვენ ქვეყანას ყოველ მხრივ, და ან რათ არ დავეკითხე ამ ცნობების შესახებ ქართველ მოსწავლელ იურისტს. ბ. ურბნელს თუმცა გონია, ვითომ ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლობს არა ერთი და ორი, ესე იგი ბევრი ქართველი, სამართლის მეცნიერებას, მაგრამ ცდება, რაგან არა თუ ერთი და ორი, სწავლიდაც არ მოინახება აქ არც იურისტი და არც ფილოლოგი ქართველობიდან. მართალია, რუსეთში ქართველი სტუდენტი იურისტიც და მოიპოვება, ამაში ეჭვი არ არის; მაგრამ მე მაინც ვაგზობინებ საქართველოში შემოთვლა, რადგან, მანძილზე თუ ვიტყვი, მაინც-და-მაინც ბევრ დროსაც არ დაეკარგავდით ამით: საქართველო იმდენზეა დაშორებული ხარკოვთან, რამდენზე სხვა საუნივერსიტეტო ქალაქები, მაგრამ მე უპირატესობა მიეცი ძველ იურისტებს<sup>1)</sup>, როგორც უფრო გამოცდილებს, მკოდნეთ საქართველოს ზნე და ჩვეულებისას, რადგან მათ წიგნების და კანონების ცოდნის გარდა, საშუალება აქვთ უფრო დაუახლოვდნენ ხალხს, თვალყურს აღვენონ მის ცხოვრებას და გაიკონონ მისი ზნე და ჩვეულება. რაც შეეხება იმას, რატომ ვითომ მე თვითონ არ მოვძებნებ ეს ცნობები, ამის შესახებ ვიტყვი მხოლოდ შემდეგს: ხარკოვში გვაქვს ერთი საჯარო წიგნთ-საცავი, მგორე უნივერსიტეტის ფუნდამენტალური წიგნთ-საცავი, რომლებიც მდიდარია სხვა-და-სხვა წიგნებით, მაგრამ საქართველოს შესახებ ერთი რიგისანი წიგნიც არ მოიძებნება, თუ სახეში არ ეიკონიებთ მ. კოვალევსკის და რეკლიუს თხზულებებს; მესამე გვაქვს ქართველ-სტუდენტების კერძო საკუთარი პატარა წიგნთ-საცავი, რომელიც არ არის ისე მდიდარი, რომ შეგვეძლოს იქიდან ყოველი ცნობის—მოყვარე-

ბის დაკმაყოფილება. ჩვენ საშუალება არა გვაქვს არა თუ სხვა-და-სხვა წიგნები და უცხო ენებზე დაწერილი ცნობები საქართველოს შესახებ შევიკანონოთ, არამედ ჩვენი ქართული წიგნებიც და ძველი ქართული ქურნალების ნომრებიც კი ვერ შევიკვიძინა.

მე, როგორც დილექტანტი, ცნობის მოყვარე და არა როგორც იურისტი, ან ფილოლოგი, მიუცვილე ხელი წინა წერილში სხენებულ საქმეს<sup>2)</sup>. რაცა ჩემ საქმეს მოიკრებოდა და თავისუფალ დროს ვეგდებდი ხელში, შეეღობოდა არხები და ვითრებლობდი მასალას მკორე რუსეთში დასახლებულ ქართველობის შესახებ. სპეციალურათ კი არ ვიძებნებ და ვარკვევდი ამ საქმეს, არამედ მიწოდებ ვაგეცნო მსურველთათვის მინაარსი აქ შენახული საქმეებისა და მიმეწოდებია ჩვენი წარსული ცნობების მკლევლ-მძიძებელთათვის, და ამასთანავე დამეცკაყოფებოდა ჩემი ცნობის-მოყვარეობა.

დასარსებლ, ნებას მივცემ ჩემ თავს ეთქვა, რომ ბ. ურბნელის ხერხი ვერ არის საქმებარი. ეტყობა, ბ. ურბნელი არ ყოფილა საზოგადოთ მკაყოფილო აქლანდელი ქართველ-სტუდენტობის; მაგრამ ალენ ხანს ვერ მოუხებრებია და ვერც ვაუბებია დღესურეებამა ის და მიეცა მისთვის შენიშვნები და დროგება. დღეს მან ისარგებლა ჩემი სახელით და იმის მაგიერ, რომ მე მართა ვაგეეცხე, კიკაესს და ცილს წამებს მთელ ქართველ-სტუდენტობას.

ქ. ხარკოვა.

ბ. ლ.

1-ლი მაისის ტირაჟის მომხიარ მე-3-ე სათავდაზნაურო სესხისის უმთავრესნი მაგებანი:

სესხის.	ბაგ.	ბაგ.	სესხის.	ბაგ.	ბაგ.
5819	7	200000	11075	14	1000
1486	49	75000	7559	43	1000
2149	12	40000	13581	36	1000
782	27	25000	7393	7	1000
14477	36	10000	4682	8	1000
5827	45	10000	12385	9	1000
948	31	10000	6331	10	1000
9777	17	8000	2897	17	1000
11542	14	8000	13190	45	1000
612	49	8000	11051	6	1000
14626	6	8000	11049	8	1000
8388	42	8000	7528	44	1000
3975	6	5000	9160	24	1000
11617	25	5000	4769	50	1000
9614	12	5000	1632	12	1000
12066	31	5000	7812	44	1000
10104	12	5000	2782	22	1000
11758	19	5000	465	11	1000
15668	50	5000	6947	3	1000
5325	39	5000	527	5	1000

\* ) თუ ეს სიტყვაი ნამდვილი ფაქტის გამომსკეკლაა, ვისურვოთ კარგი მომავალი ჩვენ სტუდენტობისთვის. თუმცა...

1) ახლა კი შეიძლება ვარ, როგორ ვაგებრებდი, თუ ძველ სტუდენტებს საქართველო არ ამსოვდათ და მისე არ ფაქრობადი; მომავალში, იმდენ აქონიონ, ან შეკაწურებთ და ვინაშით ფასილათ.

2) ქართველია მდინარე რუსეთში, იტობა.

ქვედატორ-გამომცემელი ახ. თ. ქვეთლის.